

საქართველოს მთავრობის  
განკარგულება №2186

2017 წლის 19 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„ლასკადურა ჰესის“ თაობაზე საქართველოს მთავრობასა და შპს „ლასკადა ენერჯის“ შორის დასადები შეთანხმებისა და საქართველოს მთავრობას, შპს „ლასკადა ენერჯის“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის შესახებ

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და შპს „ლასკადა ენერჯის“ შორის დასადები შეთანხმება ამავე მხარეებს შორის 2015 წლის 30 მარტს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე.
2. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, შპს „ლასკადა ენერჯის“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმი.
3. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებულ შეთანხმებასა და მე-2 პუნქტში მითითებულ ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ილია ელოშვილმა.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

